# რუსეთის ინფორმაციული ომი

## 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან



მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

# რუსეთის ინფორმაციული ომი

## 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ავტორები:

თამარ კინწურაშვილი, სანდრო გიგაური

ფაქტების ანალიტიკოსები:

მაიკო რატიანი, მარიამ დანგაძე, არაბელა კორძახია, მარიამ ტალახაძე,
დათო რობაქიძე, ქეთი ხუციშვილი, თინა თვაური, ირაკლი იაგორაშვილი

მონაცემების დამუშავება და ვიზუალიზაცია Maltego-ს პროგრამაში:

მაკო ცუცქირიძე

გარეკანის ფოტო:

SHUTTERSTOCK

დიზაინი:

ბესიკ დანელია, IBDesign

# შესავალი

მას შემდეგ, რაც 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა და სრულმასშტაბიანი სამხედრო შეტევა დაიწყო, ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ბელარუსულ სოციალურ და ტრადიციულ მედიაში ომთან დაკავშირებული არაერთი დეზინფორმაცია გავრცელდა.

„მითების დეტექტორი“ კომპანია Meta-ს ფეისბუქის მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში შეუერთდა კომპანიის ინიციატივას, რომელიც ომთან დაკავშირებით გავრცელებული ყალბი ინფორმაციის არეალის შემცირებას ისახავს მიზნად.

„მითების დეტექტორი“ ორი თვის განმავლობაში, 24 თებერვლიდან 24 აპრილის ჩათვლით რუსულ, ბელარუსულ, უკრაინულ და ქართულ სოციალურ მედიას აკვირდებოდა და იმ ძირითადი გზავნილებისა და ყალბი ცნობების ტიპოლოგია გამოავლინა, რომელსაც როგორც რუსული, ასევე ქართული, ბელარუსული და უკრაინული წყაროები ავრცელებდნენ. ამასთანავე, საერთო მონაცემებში მოხვდა 2 დეზინფორმაცია, რომელიც ომის დროს გამოვლენილი მანიპულაციური შინაარსის იდენტური იყო და უშუალოდ 2022 წლის 24 თებერვლის სამხედრო ინტერვენციამდე გავრცელდა.

წინამდებარე ანგარიში ორი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში განხილულია გავრცელებული დეზინფორმაციის და მანიპულაციური შინაარსის რაოდენობა, თემატიკა და ტიპოლოგია; მეორე ნაწილი რუსეთის საინფორმაციო ოპერაციების კომუნიკაციის არხებს და მათი მოქმედების ტაქტიკას შეეხება.

ანგარიში მოიცავს „მითების დეტექტორის“ ფეისბუქთან ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად გამოვლენილ მონაცემებს. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle-ი.

მონაცემთა ვიზუალიზაციისთვის გამოყენებულია ღია წყაროების საგამოძიებო (OSINT) პროგრამა Maltego.

# მთავარი მიგნებები

მონიტორინგის პერიოდში (24 თებერვალი – 24 აპრილი) შემდეგი ტენდენცია გამოვლინდა:

- 160 ყალბი და მანიპულაციური შინაარსიდან, რომელიც ძირითადად რუსულ და ქართულ წყაროებში ვრცელდებოდა, ყველაზე დიდი წილი (49,4%) უკრაინის წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც დასავლეთის წინააღმდეგ (28,1%) დეზინფორმაციული გზავნილები მოსდევს. ყალბი და მანიპულაციური შინაარსის ნაწილი კი რუსეთის ქმედებების გამართლებისკენ (16,3%) იყო მიმართული.

### უკრაინის წინააღმდეგ:

- ადამიანურ მსხვერპლზე რუსეთის პასუხისმგებლობის ასარიდებლად, კრემლის პროპაგანდა მის წინააღმდეგ ბრალდებებზე კონტრბრალდებების (whataboutism) ტაქტიკას მიმართავდა და ამკვიდრებდა მოსაზრებას, თითქოს უკრაინული მხარე მშვიდობიან მოსახლეობას სასიკვდილოდ თავად იმეტებდა, ხოლო მოსახლეობას საფრთხეს არა რუსეთის ჯარი, არამედ ბატალიონ „აზოვის“ და სხვა ე.წ. „ნაცისტური ჯგუფების“ ქმედებები უქმნიდა.
- უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციაში რუსეთის პასუხისმგებლობის უარყოფას ემსახურებოდა ასევე მიზანმიმართული დეზინფორმაცია, რომელიც ამკვიდრებდა აზრს, რომ უკრაინა მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას აყალბებს (მარიუპოლელი ბლოგერის ისტორია, ბუჩას ტრაგედია). ამ მიზნით ხშირად ვიზუალური მანიპულაციის, მათ შორის პანდემიასთან დაკავშირებულის, გამოყენება ხდებოდა.
- ზელენსკის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაციის ყველაზე დიდი წილი თავდაპირველად თავად უკრაინელების დეზორიანტაციაზე იყო მიმართული და ამკვიდრებდა აზრს, რომ ზელენსკი ქვეყნიდან გაქცეული იყო. მოგვიანებით კი უკრაინის პრეზიდენტის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია მეტწილად მისი მორალური დისკრედიტაციისკენ (ნარკომანი, ნაცისტი) და ანტისემიტური შეთქმულებებისკენ იყო მიმართული.
- დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი, რომელიც „აზოვის“ ბატალიონს და სტეპან ბანდერას უკავშირდებოდა, თანხვედრაში იყო კრემლის გზავნილთან, რომელიც ქვეყნის დენაციფიკაციის საბაბით რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამართლებას ისახავდა მიზნად.

- ვიდეომანიპულაციებს ხშირად უკრაინელი მიგრანტების დისკრედიტაციის და სხვადასხვა ქვეყანაში მათი შეუფერებელი ქცევის დემონსტრირების მიზნით მიმართავდნენ.
- შეთქმულების თეორები, რომ უკრაინა სოდომ-გომორის ცოდვების, ხოლო ზელენსკის რეჟიმი მართლმადიდებლობასთან ბრძოლის გამო ისჯებოდა, თანხვედრაში იყო ომთან დაკავშირებით რუსეთის პატრიარქის კირილეს მიერ გაკეთებულ განცხადებასთან, რომლის თანახმად უკრაინაში ომის მიზეზი ლიბერალური დასავლური ღირებულებები და გეი აღლუმების მიმართ დონბასელების მიუღებლობა იყო.
- ანტისემიტურ კონსპირაციებს „ზეციური იერუსალიმის" შესახებ უკრაინის მოვლენებთან მიმართებით საქართველოში მეტწილად ანტივაქსერული ფეისბუქ ანგარიშები ავრცელებდნენ.
- გზავნილი, რომ რუსები და უკრაინელები ერთი ერია და მათ საერთო სახელმწიფო „კიევის რუსეთი" აერთიანებთ, ამკვიდრებდა აზრს, რომ რეალურად რუსეთ-უკრაინის ომი ძმებს შორის დაპირისპირებაა, რომლებიც დასავლეთმა წააქეზა და მასში სხვა ქვეყნები არ უნდა ჩარეულიყვნენ.

## დასავლეთის წინააღმდეგ:

- ანტიდასავლური დეზინფორმაციის ყველაზე დიდი წილი ბიოლოგიურ ლაბორატორიებს უკავშირდებოდა. როგორც წინა წლებში, უკრაინაში ინტერვენციის დროსაც, კრემლის ინფორმაციული ოპერაციები ამერიკელების მიერ უკრაინასა და საქართველოში ბიოლოგიური იარაღის გამოცდის საფრთხესა და სახიფათო ექსპერიმენტებზე აპელირებდა. მიზანმიმართულ დეზინფორმაციის კამპანიას თან ახლდა კრემლის განცხადებები, რომ რუსეთი მის საზღვრებთან ბიოლოგიური იარაღის გამოცდას არ დაუშვებდა.
- დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული გზავნილების ნაწილი რუსეთის შიდა აუდიტორიაზეც იყო მორგებული და ამკვიდრებდა აზრს, რომ აშშ-სა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები რუსეთზე მეტად თავად ამ ქვეყნებს აზარალებდა, ევროპა კი რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო შიმშილის პირას იყო მისული.
- დასავლეთის დადანაშაულებას ომის წაქეზებასა და სამხედრო ესკალაციის გზით კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობაში როგორც რუსული, ასევე ქართული წყაროები ახდენდნენ. მეორე ფრონტის გახსნისა და ქვეყნის ომში ჩათრევის მცდელობის შესახებ ბრალდებები საქართველოს შემთხვევაში დამატებით უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ კეთდებოდა, რასაც კოორდინირებულად სახელისუფლებო არაავთენტური ანგარიშები ავრცელებდნენ. ამ შინაარსის ფეისბუქ პოსტებს კი არა მხოლოდ ანონიმური ფეისბუქ გვერდები, არამედ მმართველი პარტია „ქართული ოცნების" ოფიციალური გვერდებიც ასპონსორებდნენ.
- იმის საილუსტრაციოდ, რომ დასავლეთი ომის მხარეს წარმოადგენს და გარდა პოლიტიკური დაინტერესებისა, სამხედრო ოპერაციებშიც არის ჩართული, ვრცელდებოდა ცნობები ამერიკელი და ნატოელი სამხედროების დაკავების შესახებ.
- უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის საფრთხიდან ფოკუსის სხვა საფრთხეებზე გადატანის და რუსეთის პასუხისმგებლობის არიდების მიზნით, კრემლის პროპაგანდა ისტორიული ტრავმე-

ბის გაღვივებას ცდილობდა და პოლონეთის მიერ დასავლეთ უკრაინის დაბრუნების გეგმაზე ყალბ ცნობებს და ვიზუალურ მტკიცებულებებს კოორდინირებულად ავრცელებდა.

- სამხედრო ინტერვენციის გამართლებისა და ბრალის დასავლეთზე გადატანის მიზნით კრემლის პროპაგანდა ამკვიდრებდა აზრს, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთისთვის მიცემული პირობა დაარღვია, რომ ალიანსი აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდებოდა.

## რუსეთის ქმედებების გასამართლებლად:

- რუსეთის სამხედრო/ტაქტიკური უპირატესობის საილუსტრაციოდ ომის დაწყების პირველ ეტაპზე აქტიურად ვრცელდებოდა ფოტო-ვიდეო მანიპულაციები, რომელთა აღწერებში აქცენტი რუსეთის მიერ უკრაინის ცალკეული ქალაქების დაბომბვასა და რუსეთის სამხედრო ძალების დაწინაურებაზე კეთდებოდა.
- კრემლის პროპაგანდა სამხედრო ინტერვენციის გამართლების მიზნით ამკვიდრებდა აზრს, რომ ე.წ „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას" მხოლოდ პრევენციული ხასიათი ჰქონდა და უკრაინული აგრესიის შეკავებას და დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების დაცვას ისახავდა მიზნად.
- რუსეთის შიდა აუდიტორიაზე გათვლილი კიდევ ერთი დეზინფორმაცია, სამხედრო ინტერვენციის გამართლების მიზნით, ამტკიცებდა, რომ უკრაინას გაეროს მიერ ოფიციალურად აღიარებული საზღვრები არ ჰქონდა და შესაბამისად, რუსეთს არც უკრაინის საზღვრები დაურღვევია, არც საერთაშირისო სამართალი.
- კრემლის პროპაგანდისტული მანქანა ასევე ამტკიცებდა, რომ რუსეთის სამიზნე მშვიდობიანი მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები არ იყვნენ.

## კომუნიკაციის არხები და მათი მოქმედების ტაქტიკა

- ფეისბუქსა და ინსტრაგრამზე ინფორმაციული ოპერაციების განსახორციელებლად და პროპაგანდის მიზნით კრემლი კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს იყენებდა.
- გამოვლინდა შემთხვევები, როცა ზოგიერთი საინფორმაციო მედია მონიტორინგის გვერდის ავლის მიზნით, პოლიტიკური შინაარსის მასალებს ან გასართობი არხებით (Россия 1, Музыка 80-90-00's) ავრცელებდა, ან კოორდინირებულად პარტიის მხარდამჭერი ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიშების მეშვეობით (საქართველო, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა).
- გარდა რუსეთის სამთავრობო და პროპაგანდისტული მედიებისა (RT, Первый канал, Россия 1, Телеканал «Звезда», Царьград და სხვა), ხდებოდა ინგლისურენოვანი ექსპერტების (სკოტ რიტერი, გონზალო ლირა) კომენტარების კოორდინირებული გავრცელება. მათ მოსაზრებებს კი აუდიტორიას დასავლეთის ნეიტრალური დამკვირვებლების პოზიციად და დასავლეთის გამოფხიზლების მტკიცებულებად (Запад начинает прозревать) სთავაზობდნენ.

- იმ ინგლისურენოვანი ექსპერტების მოსაზრებების ტირაჟირებაში, რომლებიც რუსეთის ქმედებებს ამართლებდნენ, სამთავრობო მედიასა და ინდივიდუალურ ფეისბუქ მომხმარებლებთან ერთად, უცხოეთში რუსეთის საელჩოების ფეისბუქ ანგარიშებიც იყვნენ ჩართულნი.
- გარდა უცხოელი ექსპერტებისა, უკრაინასა და დასავლეთზე ყალბი ინფორმაციის გასავრცელებლად კრემლთან დაკავშირებული უცხოელი ჟურნალისტების და სხვადასხვა მედია პლატფორმების, ასევე ფეისბუქის ანგარიშების გამოყენება ხდებოდა, რომელთა ნაწილი რუსეთიდან იმართებოდა.
- ასევე გამოვლინდა სხვადასხვა ქვეყნებში რუსული დიასპორებისა და უკვდავი პოლკის ფეისბუქ ანგარიშები, რომლებიც უკრაინა-რუსეთის ომის დროს როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის, ასევე ადგილობრივი დიასპორების მობილიზებისთვის გამოიყენებოდა. უცხოეთში კომუნისტური პარტიების მობილიზება კი ნატოს წინააღმდეგ და რუსეთის მხარდაჭერის გამოსახატად ხდებოდა.
- რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მხარდამჭერი ფეისბუქ ანგარიშები დეზინფორმაციის გავრცელების გარდა, პროპაგანდის მიზნითაც გამოიყენებოდა, რა დროსაც ხშირად პუტინი და რუსეთი ერთმანეთთან იყვნენ გაიგივებული (ЗА ПУТИНА – ЗА РОССИЮ).
- საქართველოში უკრაინაზე დეზინფორმაციის გავრცელებაში, გარდა კრემლისტური პარტიების ადამიანური და მედია რესურსისა, ანტივაქსერები და გარკვეულ შემთხვევაში რელიგიური აქტორებიც იყვნენ ჩართულნი.

# სარჩევი


1. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი 9
   - 1.1. უკრაინის წინააღმდეგ 11
   - 1.2. დასავლეთის წინააღმდეგ 20
   - 1.3. რუსეთის ქმედებების გასამართლებლად 27
2. კომუნიკაციის არხები და მათი MODUS OPERANDI 31

დიაგრამა 1. დეზინფორმაციული / მანიპულაციური გზავნილების სამიზნეები 9

ცხრილი 1. დეზინფორმაციული / მანიპულაციური გზავნილების ტიპოლოგია სამიზნეების მიხედვით 10

ცხრილი 2. რუსეთის სამთავრობო და პროპაგანდისტული მედია არხები 32

ცხრილი 3. დონბასის / ლუგანსკის და ბელორუსის მედია წყაროები 34

ცხრილი 4. დიასპორების და უკვდავი პოლკის ფეისბუქ ანგარიშები უცხოეთში 42

ცხრილი 5. პუტინის მხარდამჭერი ფეისბუქ ანგარიშები 44

ცხრილი 6. ქართულენოვანი წყაროები პოლიტიკური, რელიგიური და სხვა აფილაციის მიხედვით 46

MALTEGO-ს ვიზუალიზაცია. რუსეთ-უკრაინის ომზე ყალბი და მანიპულაციური შინაარსის გავრცელების წყაროები 49


დანართები 1.1.-3.4. ხელმისაწვდომია ელექტრონულად QR კოდით

# 1. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი

**რაოდენობრივი მონაცემები და გზავნილების ტიპოლოგია.** უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში (24 თებერვალი – 24 აპრილი) და უშუალოდ ომის წინ „მითების დეტექტორმა" ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ბელორუსულ ფეისბუქ გვერდებსა და ინსტაგრამზე გავრცელებული 160 ყალბი და მანიპულაციური შინაარსი გადაამოწმა.

გავრცელებული დეზინფორმაციებიდან/მანიპულაციიდან ყველაზე დიდი წილი (49,4%) უკრაინის წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც დასავლეთის წინააღმდეგ (28,1%) დეზინფორმაციული გზავნილები მოსდევს. შემდეგ ადგილზეა რუსეთის ქმედებების გამართლება (16,3%), ხოლო კატეგორიაში სხვადასხვა 10 შემთხვევა (6,3%) მოხვდა.

**დიაგრამა 1. დეზინფორმაციული / მანიპულაციური გზავნილების სამიზნეები**




უკრაინის წინააღმდეგ · დასავლეთის წინააღმდეგ · რუსეთის მხარდასაჭერად · სხვადასხვა

## ცხრილი 1. დეზინფორმაციული / მანიპულაციური გზავნილების ტიპოლოგია სამიზნეების მიხედვით

| უკრაინის წინააღმდეგ | 79 | დასავლეთის წინააღმდეგ | 45 | რუსეთის მხარდასაჭერად | 26 |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინის ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას ფარად იყენებს და საფრთხეს უქმნის | 17 | უკრაინასა და საქართველოში დასავლეთის გასაიდუმლოებული ბიოლაბორატორიები მოქმედებს | 12 | რუსეთი ომს იგებს / რუსეთს სამხედრო უპირატესობა აქვს | 15 |
| უკრაინა მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას აყალბებს | 14 | სანქციები არ მუშაობს / სანქციები რუსეთზე მეტად დასავლეთს აზარალებს | 6 | სპეციალური ოპერაცია უკრაინის აგრესიის შესაკავებლად დაიწყო / კრემლს უკრაინის ტერიტორიაზე გადაადგილების ლეგიტიმური უფლება ჰქონდა | 4 |
| ზელენსკის წინააღმდეგ | 14 | დასავლეთი უკრაინას აქეზებს / საქართველოს ომში ჩართვა სურს | 5 | რუსეთის სამიზნე მშვიდობიანი მოსახლეობა არ არის | 3 |
| უკრაინელები ნაცისტების / ბანდერას მიმდევრები არიან | 12 | დასავლეთი ომის მხარეა | 5 | რუსეთს საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს / ნატოს და უკრაინელების წინააღმდეგ აქციები იმართება | 3 |
| უკრაინელი მიგრანტების / უკრაინელების წინააღმდეგ | 6 | უკრაინისადმი დასავლეთის დახმარება უმნიშვნელოა | 5 | უკრაინელები რუსულ ჯარს სიხარულით ეგებებიან | 1 |
| შეთქმულებები: უკრაინა ცოდვების გამო ისჯება / ებრაელებს უკრაინის „ახალ იერუსალიმად“ ქცევა სურთ | 6 | უკრაინაში სამხედრო დაპირისპირება დასავლეთის დაგეგმილია/ დასავლეთს უკრაინის ბედი არ აღელვებს | 4 | | |
| რუსები და უკრაინელები ერთი ერია / უკრაინის ეკლესია არცერთ მართლმადიდებელ ქვეყანას არ უღიარებია | 5 | დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აწარმოებს/ რუსების გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს | 3 | | |
| უკრაინა ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს | 3 | პოლონეთი უკრაინის ტერიტორიების დაბრუნებას გეგმავს / უკრაინის ტერიტორიული დაყოფა გარდაუვალია | 2 | | |
| უკრაინა საქართველოს ომის დროს არ ეხმარებოდა | 2 | აღმოსავლეთ გაფართოებით NATO-მ რუსეთთან დადებული პირობა დაარღვია | 2 | | |
| | | ამერიკას არ აქვს მორალური უფლება რუსეთი უკრაინაში შეჭრის გამო დაადანაშაულოს | 1 | | |

## 1.1. უკრაინის წინააღმდეგ

ყველაზე მეტი მცდარი ინფორმაცია (79) უკრაინის წინააღმდეგ იყო მიმართული, საიდანაც ყველაზე დიდი წილი იმ მოსაზრების დამკვიდრებას ცდილობდა, რომ უკრაინის ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას ფარად იყენებდა/წირავდა (17), ხოლო მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას აყალბებდა (14). დეზინფორმაციის დიდი წილი ასევე მიმართული იყო უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის წინააღმდეგ (14) და უკრაინელი მებრძოლების წინააღმდეგ, რომლებიც ნაცისტებად და ბანდერელებად იყვნენ მოხსენიებული (12):

**უკრაინის ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას ფარად იყენებს და საფრთხეს უქმნის.** კრემლის პროპაგანდა ადამიანურ მსხვერპლზე რუსეთის პასუხისმგებლობის ასარიდებლად მის მიმართ ბრალდებებზე კონტრბრალდებების (whataboutism) ტაქტიკას მიმართავდა და ამკვიდრებდა მოსაზრებას, თითქოს უკრაინული მხარე მშვიდობიან მოსახლეობას სასიკვდილოდ თავად იმეტებდა, ხოლო მოსახლეობას საფრთხეს არა რუსეთის ჯარი, არამედ ბატალიონ „აზოვის“ და სხვა ე.წ. „ნაცისტური ჯგუფების“ ქმედებები უქმნიდა.

როგორც დანართ 1.1-ში ჩანს, ამ გზავნილის გასამყარებლად მონიტორინგის პერიოდში „მითების დეტექტორმა“ 17 დეზინფორმაცია გადაამოწმა, საიდანაც გავრცელებული ყალბი ცნობების ნაწილი ამტკიცებდა, რომ:

- მარიუპოლის თეატრი, საცხოვრებელი სახლი თავად უკრაინამ დაბომბა;
- ბუჩაში გარდაცვლილებს არ მარხავდნენ და ტურისტულ სანახაობად იყენებდნენ;
- ოდესის სამხედრო ადმინისტრაციამ სამოქალაქო ობიექტებში სამხედრო ტექნიკის განთავსება ბრძანა და ამასთანავე, ქალაქიდან მოსახლეობის ევაკუაცია აკრძალა;
- უკრაინელმა ნაციონალისტებმა სუმის მახლობლად ქიმიური საწყობები დანაღმეს, სადაც ამიაკი და ქლორი ინახება და ქალაქში რუსული არმიის გამოჩენის შემთხვევაში, მათ აფეთქებასა და მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მოწამვლას აპირებდნენ.

ვრცლად იხ. დანართი 1.1

**უკრაინა მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას აყალბებს.** რუსეთის წინააღმდეგ ბრალდებებზე საპასუხოდ კონტრბრალდებების (whataboutism) ტაქტიკას კრემლის პროპაგანდა იმ მოსაზრების დასამკვიდრებლადაც იყენებდა, რომლის თანახმადაც უკრაინელები მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას აყალბებდნენ. როგორც დანართ 1.2-ში ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კამპანია ომის საწყისს ეტაპზე მარიუპოლელ ბლოგერ მარიანა პოდგურსკაიას უკავშირდებოდა, რომელსაც ყალბ ფეხმძიმობაში დებდნენ ბრალს. „მითების დეტექტორმა“ ამ თემაზე ფეისბუქზე სხვადასხვა ანგარიშის  მიერ კოორდინირებულად გავრცელებული 61 პოსტი გამოავლინა.




ბუჩის ტრაგედიაში რუსეთის როლის უარყოფას როგორც რუსულმა პროპაგანდისტულმა მედიამ, ასევე რუსულმა და ქართულმა ფეისბუქ და ინსტაგრამ ანგარიშებმა არაერთი პუბლიკაცია და პოსტი დაუთმეს. ხდებოდა:

- როგორც მსხვერპლის არსებობის **უარყოფა**, ასევე მტკიცებულებად უკრაინის ეროვნული პოლიციის ვიდეოს მანიპულაციურად **გამოყენება**,
- თურქულ გამოცემაზე (Aydinlik) დაყრდნობით, საერთაშორისო მედიის სატელიტით გადაღებული კადრების და გამოძიებების **უარყოფაც**,
- გავრცელებული ცნობების ლეგიტიმაციისთვის კრემლის პროპაგანდისტული მედიების ინგლისურენოვანი ექსპერტის, გაეროს ყოფილი ინსპექტორის **სკოტ რიტერის** გამოყენება.

იმის საილუსტრაციოდ, რომ უკრაინა მსხვერპლს აყალბებს, გამოყენებული იყო ვიდეომანიპულაციები, სადაც ერთ შემთხვევაში რუსი რეპერის ჰასკის კლიპის გადაღების ის **ფრაგმენტი** იყო გამოყენებული, რომელშიც მიცვალებულის როლის შემსრულებელი სიგარეტს ეწევა, ხოლო **მეორე შემთხვევაში** ავსტრიაში კლიმატის ცვლილებების გასაპროტესტებლად გამართული სიმბოლური პერფორმანსის კადრები, რომელშიც აქციის მონაწილე გვამი მოძრაობს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ **ბოლო ვიდეო** ორი განსხვავებული აღწერით გავრცელდა, ხოლო ჰასკის ვიდეო ომამდე პანდემიის დროს კორონავირუსის უარყოფისთვის გამოიყენებოდა.













ვრცლად იხ. დანართი 1.2

**ზელენსკის წინააღმდეგ.** ზელენსკის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაციის ყველაზე დიდი წილი თავდაპირველად თავად უკრაინელების დეზორიანტაციაზე იყო მიმართული და ამკვიდრებდა აზრს, რომ უკრაინის პრეზიდენტის საჯარო გამოსვლები მირაჟულია, ჩანაწერები წინასწარ არის გაკეთებული, თავად ზელენსკი კი ქვეყნიდან გაქცეულია.

მტკიცება, თითქოს The Wall Street Journal-მა გამოაქვეყნა მასალა, რომ ვოლოდიმირ ზელენსკიმ ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების გაფრთხილების მიუხედავად კონფლიქტის თავიდან აცილება ვერ შესძლო, მანიპულაციურად რუსულ პროპაგანდისტულ სააგენტო РИА Новости-ში გავრცელდა, საქართველოში კი კრემლისტურ გამოცემებთან ერთად სახელისუფლებო სააგენტოებმა და ფეისბუქ ანგარიშებმა აიტაცეს.

ზელენსკის ნარკოტიკებზე დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მონიტორინგის პროცესში 3 პროგრამულად დამუშავებული, გაყალბებული ვიდეო გავრცელდა:

- 2019 წლის ვიდეო, რომლის აუდიო მონტაჟის შედეგად უკრაინის პრეზიდენტის სიყვარული ყავისადმი ნარკოტიკების სიყვარულად არის წარმოჩენილი, რუსულენოვან ფეისბუკ გვერდებზე კოორდინირებულად 21-მა ანგარიშმა გაავრცელა. საქართველოში იდენტური შინაარსის ვიდეო ანტივაქსერებმა და კრემლისტურმა ფეისბუკ ანგარიშებმა გაავრცელეს.
- ზელენსკისა და ილონ მასკის საუბრის პროგრამულად დამუშავებულ ვიდეოში კოკაინი და საბანკო ბარათი დაამატეს.
- ვიდეოს ხარისხის შეცვლით მაგიდაზე არსებული ნივთების ჩრდილები და ტელეფონის დამტენები კოკაინის შეფუთვად და ნარკოტიკის კვალად იყო წარმოჩენილი.

გარდა ამისა, იმის საილუსტრაციოდ, რომ ზელენსკი ნაცისტებს უჭერს მხარს, უკრაინის პრეზიდენტის ფოტოშოპით დამუშავებული ვიზუალი გავრცელდა, სადაც უკრაინის საფეხბურთო ნაკრების მაისურზე წარწერა 95 სვასტიკით იყო ჩანაცვლებული. მეორე შემთხვევაში კი ოდესაში პუტინის კარიკატურულ ბანერზე პუტინი – ზელენსკის ვიზუალით.




ვრცლად იხ. დანართი 1.3.

**უკრაინელები ნაცისტების / ბანდერას მიმდევრები არიან.** დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი, რომელიც „აზოვის“ ბატალიონს და სტეპან ბანდერას უკავშირდებოდა, თანხვედრაში იყო კრემლის გზავნილთან, რომელიც ქვეყნის დენაციფიკაციის საბაბით რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამართლებას ისახავდა მიზნად.

ყველაზე ფართოდ ქართულ სოციალურ ქსელში გავრცელდა ძველი ვიდეო, რომელიც ამტკიცებდა, რომ აზოვის ბატალიონმა დონბასელი მეომარი ჯვარზე გააკრა და დაწვა. აღნიშნული დეზინფორმაცია, რომელიც 2015 წლიდან ვრცელდება, 2022 წლის ომის კონტექსტში 22-მა ქართულენოვანმა ფეისბუქ ანგარიშმა გააზიარა, მათ შორის კრემლისტურ „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებულმა ანგარიშებმა.

როგორც ქართული კრემლისტური გამოცემები (Politicano, „საქართველო და მსოფლიო“, „ნიუსფრონტი“), ასევე ინდივიდუალური რუსულენოვანი ფეისბუქ ანგარიშები ავრცელებდნენ დაუსაბუთებელ ცნობებს უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის სტეპან ბანდერას წინააღმდეგ. ასევე ვრცელდებოდა დეზინფორმაცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბანდერას მიერ დახოცილი ბავშვების ხსნოვნის საპატივცემულოდ პოლონეთში ძეგლი აღიმართა, რომელიც რეალურად დედის მიერ საკუთარი შვილების დახოცვის ტრაგიკულ ისტორიას ასახავდა.




ვრცლად იხ. დანართი 1.4.

**ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ / ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.** უკრაინელი მიგრანტების დისკრედიტაციის მიზნით, ვიდეობი არასწორი აღწერით ვრცელდებოდა და მეტწილად იმის ილუსტრირებას ცდილობდა, თუ როგორ შეუფერებლად იქცეოდნენ ისინი სხვა ქვეყნებში. გამოიკვეთა ასევე შემთხვევა, როცა დრეზდენში უკრაინელი ლტოლვილების წინააღმდეგ რუსული დიასპორის და კრემლის ბაიკერების („ღამის მგლების“) აქცია გერმანული დრეზდენის პროტესტად იყო წარმოჩენილი.




საქართველოში, ქობულეთში კრემლისტური პარტია კონსერვატიული მოძრაობა/ალტინფოს წინააღმდეგ გამართული აქცია, რა დროსაც პარტიის წარმომადგენლები აქციის მონაწილეებს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რუსულმა ფეისბუკ ანგარიშებმა არასწორი აღწერით გაავრცელეს და ამტკიცებდნენ, რომ უკრაინის მხარდამჭერ აქციებს საქართველოში არბევენ.

ვრცლად იხ. ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 1.5.

**ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ: ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲡᲯᲔᲑᲐ / ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ „ᲐᲮᲐᲚ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲐᲓ“ ᲥᲪᲔᲕᲐ ᲡᲣᲠᲗ.** შეთქმულების თეორებს, რომ უკრაინა სოდომ-გომორის ცოდვების, ხოლო ზელენსკის რეჟიმი მართლმადიდებლობასთან ბრძოლის გამო ისჯებოდა, მონიტორინგის პერიოდში მეტწილად ქართული კრემლისტური „ალტ-ინფო“ და მისი მხარდამჭერი ანგარიშები ავრცელებდნენ. ეს დეზინფორმაციული ნარატივი თანხვედრაში იყო ომთან დაკავშირებით რუსეთის პატრიარქის კირილეს მიერ გაკეთებულ განცხადებასთან, რომლის თანახმად უკრაინაში ომის მიზეზი ლიბერალური დასავლური ღირებულებები და გეი აღლუმების მიმართ დონბასელების მიუღებლობა იყო.

იდენტური გზავნილებით გავრცელდა თანასწორობის შესახებ ბრიტანული ორგანიზაციის მიერ მომზადებული კლიპის პროგრამულად გაყალბებული ვერსია, რომელშიც გეი სამხედრო წყვილი ფიგურირებს და უკრაინის ჯარის უნიფორმიანი სამხედროების კადრების, ასევე სახმელეთო




ძალების ლოგოს დამატებით უკრაინის ჯარში გაწვევის ვიდეორგოლად იყო წარმოჩენილი. ომის დაწყებამდე გაყალბებული ვიდეო საქართველოში კრემლისტურმა ტვ „ალტ-ინფომ“ და მისმა მხარდამჭერებმა კოორდინირებულად გაავრცელეს. გაყალბებულ ვიდეოს ახლდა გზავნილე-ბი, რომ ყირიმის დაკარგვის მიზეზი, ასეთი სულისკვეთების ჯარია, ქრისტიანული ქვეყანა ასე არ უნდა წაიბილწოს და რომ საქართველომ ასეთ ჯარს მხარი არ უნდა დაუჭიროს.

უშუალოდ ომის მსვლელობისას, მარტის თვეში იდენტური ვიდეო უკრაინული სიმღერის თან-ხლებით რუსულენოვანი აუდიტორიისთვის სხვადასხვა სოციალური პლატფორმებით (fb, youtube, Vk, twitter და სხვა) კოორდინირებულად მარტსა და აპრილში გავრცელდა. გაყალბე-ბული ვიდეოს გამავრცელებელთა შორის იყო რუსული ნაციონალისტური პარტიის თავმჯდო-მარე ნიკოლაი ბონდარიკის youtube არხი, რომელმაც ვიდეო შემდეგი სათაურით გაავრცელა: „უკრაინა ჯარში გეებს იწვევს. ეს იქნება ღალატი!)))“ (УКРАИНА НАБИРАЕТ ГЕЕВ В АРМИЮ. ЭТО БУДЕТ ЗРАДА!))). სხვადასხვა პლატფორმები (vegvisir.media) ვიდეოს უშუალოდ აზოვის ბატა-ლიონს და ჰომოსექსუალიზმს (ნაციონალისტური პოლკი „აზოვი!!!! ნაციონალისტები და ლგბტ ერთიანი არიან!!!! – националистический полк – «Азов» !!!Националисты и ЛГБТ – едины !!!) და ბან-დერელებს (ყველაფერი, რაც ბანდერელებზე უნდა იცოდეთ! Все что надо знать о бандеровцах!!!) უკავშირებდნენ. ამასთანავე ზოგიერთი ანგარიში ვიდეოს ჰომოფობიურ კონტექსტში უკრაინუ-ლი ჯარის რეპუტაციის დასაკნინებლად იყენებდა (ეს არის ყველაზე ძლიერი ჯარი ევროპაში, როგორც მათ უყვართ, რომ საკუთარ თავს უწოდონ, Это самая сильная армия в Европе, как они себя любят называть).



















უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციაზე კრემლის პასუხისმგებლობის აცილებას ისახავ-და ასავე მიზნად კონსპირაციები, რომელთაგან ერთ შემთხვევაში Russia Today-ს ძველი **ვიდეოს** გამოყენებით ამტკიცებდნენ, რომ უკრაინელები ჯვრის მოჭრის გამო ისჯებოდნენ, ხოლო მეორე შემთხვევაში, ღვთიური სასჯელის მიზეზად ზელენსკის რეჟიმის მიერ **მართლმადიდებლობის დევნა** სახელდებოდა, რის საილუსტრაციოდაც რუსეთში ეკლესიის დაწვის ფოტო მანიპულაციურად იყო გამოყენებული და უკრაინას მიეწერებოდა.



კიდევ ერთი კონსპირაცია ქართულენოვან ფეისბუქ ანგარიშებზე უკრაინის ტერიტორიაზე „ზეციური იერუსალიმის“ აშენებას უკავშირდებოდა. ანტისემიტურ კონსპირაციებს უკრაინის მოვლენებთან მიმართებით მეტწილად ქართული ანტივაქსერული ფეისბუქ ანგარიშები (ბიბლიის მორწმუნე ქრისტიანები, ბოლო ჟამის ქრისტიანები) ავრცელებდნენ.

ვრცლად იხ. დანართი 1.6.

**რუსები და უკრაინელები ერთი ერია, უკრაინის ეკლესია არცერთ მართლმადიდებელ ქვეყანას არ უღიარებია.** გზავნილი, რომ რუსები და უკრაინელები ერთი ერია და მათ საერთო სახელმწიფო „კიევის რუსეთი“ აერთიანებთ, ამკვიდრებდა აზრს, რომ რეალურად რუსეთ-უკრაინის ომი ძმებს შორის დაპირისპირებაა, რომელიც დასავლეთმა წააქეზა და მასში სხვა ქვეყნები არ უნდა ჩარეულიყვნენ. ამ თეზას, ერთი მხრივ, ქართველი პრორუსი სასულიერო პირი სპირიდონ აბულაძე ავითარებდა და კონსერვატიული ანგარიშები აზიარებდნენ, მეორე მხრივ კი, რუსულენოვანი ანგარიშები გერმანიის პირველი რაიხკანცლერის ოტო ფონ ბისმარკის გამოგონილ ციტატაზე დაყრდნობით ავითარებდნენ. ბისმარკის გაყალბებულ სიტყვებს იმ მოსაზრების მტკიცებულებად იყენებდნენ, რომ მოძმე რუსი და უკრაინელი ხალხების დაპირისპირება რუსეთის დასუსტების მიზნით იყო დაგეგმილი.

როგორც რუსულენოვანი, ასევე ქართულენოვანი ანგარიშები ავრცელებდნენ უკრაინის რუკას, რომელიც იმეორებდა პუტინის თეზას, რომ კიევი ლენინის შექმნილია, ასევე ამკვიდრებდა აზრს, რომ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიების დიდი წილი რუსეთის საჩუქარი იყო და ამჟამად უკრაინის „ტერიტორიული მთლიანობის“ აღდგენა მიმდინარეობდა.



მტკიცებას, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიას უკრაინის ავტოკეფალიის აღიარების უფლება არ ჰქონდა, ხოლო უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა არცერთ მართლმადიდებელ ქვეყანას არ უღიარებია, ქართველ სასულიერო პირთან ერთად, კრემლისტური ტვ ალტ-ინფოს წამყვანები ავრცელებდნენ.

ვრცლად იხ. დანართი 1.7.

**უკრაინა ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს.** იმის საილუსტრაციოდ, რომ უკრაინა ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს, რუსული გაზით სარგებლობის თემით მანიპულირება ხდებოდა, ასევე ვრცელდებოდა დეზინფორმაცია უკრაინელი ჯარისკაცების მხრიდან მარადიორობისა და ჰუმანიტარული ტვირთის მითვისების შესახებ.

ვრცლად იხ. დანართი 1.8.

**უკრაინა საქართველოს ომის დროს არ ეხმარებოდა.** კრემლისტური ტვ „ალტ-ინფო“ ავითარებდა აზრს, რომ უკრაინა საქართველოს არც 2008 წლის, არც 90-იანების აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს ეხმარებოდა, რაც გადაცემის წამყვანების აზრით, ამართლებდა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, სანქციებს არ შეერთებოდა.

## 1.2. დასავლეთის წინააღმდეგ

**უკრაინასა და საქართველოში დასავლეთის დაფინანსებული გასაიდუმლოებული ბიოლაბორატორიები მოქმედებს.** ანტიდასავლური დეზინფორმაციის ყველაზე დიდი წილი (12) ბიოლოგიურ ლაბორატორიებს უკავშირდებოდა და ამკვიდრებდა აზრს, რომ უკრაინაში ამერიკის მართული ბიოლოგიურ ლაბორატორებში ბიოლოგიურ იარაღს ცდიან, უკრაინასა და საქართველოში არსებულ ანალოგიურ ლაბორატორიებში კი ჯარისკაცებზე ექსპერიმენტებს ატარებენ; რომ მსგავსი ლაბორატორიები ამერიკაში არ ფუნქციონირებს და საექსპერიმენტოდ უკრიანის და საქართველოს მსგავსს ქვეყნებს იყენებდნენ.

კოორდინირებულად ყალბი ინტერპრეტაციით ვრცელდებოდა დეზინფორმაცია, რომელიც ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიქტორია ნულანდის სენატში გამოსვლას შეეხებოდა, თითქოს ნულანდმა აღიარა, რომ ამერიკა უკრაინაში ბიოლოგიურ იარაღს ფლობს. ასევე კოორდინირებულად ვრცელდებოდა ბრალდებები ბიოლოგიური იარაღის წარმოების პროცესში ამერიკის პრეზიდენტის შვილის ჰანტერ ბაიდენის მონაწილეობის შესახებ. ლაბორატორიებთან დაკავშირებული დეზინფორმაციები როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს შემთხვევაში ხშირად გაჟონილ დოკუმენტებს და იდენტურ ექსპერტებს ეყრდნობოდა, კერძოდ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ტვ Zvezda-სთან დაკავშირებულ ბულგარელ ჟურნალისტს დილიანა გაიტანჯიევას.

ამერიკის გარდა ომის მსვლელობისას რუსეთის ხელისუფლების სამიზნე გერმანიაც გახდა, რომელიც კრემლის მტკიცებით, უკრაინაში საშიშ ბიოლოგიურ საქმიანობას ამერიკასთან ერთად ეწევა.

ამასთანავე ვრცელდებოდა ყალბი ცნობები მარიოპულში აზოვსტალის ქარხანაში ნატოს გასაიდუმლოებული ობიექტისა და ბიოლოგიური ლაბორატორიის არსებობის შესახებ.

ბიოლოგიური იარაღის გამოყენებაზე ინფორმაციული ოპერაციების პრაქტიკას კრემლი წლებია მიმართავს. საქართველოში მოქმედი რიჩარდ ლუგარის სახელობის ბიოლოგიური ლაბორატორია დიდი ხანია რუსეთის სამიზნეა. სხვადასხვა აქტორების მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციულ კამპანიებს, როგორც წესი, თან სდევს ოფიციალური მოსკოვის განცხადებები, რომ კრემლი მის საზღვრებთან ბიოლოგიური იარაღის გამოცდას არ დაუშვებს.

ვრცლად იხ. დანართი 2.1.

**სანქციები არ მუშაობს / სანქციები რუსეთზე მეტად დასავლეთს აზიანებს.** დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული გზავნილების ნაწილი რუსეთის შიდა აუდიტორიაზეც იყო მორგებული და ამკვიდრებდა აზრს, რომ აშშ-სა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები რუსეთზე მეტად თავად ამ ქვეყნებს აზარალებდა, ევროპა კი რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო შიმშილის პირას იყო მისული (Комсомольская правда: Европейские политики призывают сограждан экономить на еде, ევროპელი პოლიტიკოსები მოქალაქეებს მოუწოდებენ, საკვებზე ეკონომია გააკეთონ).



ქართული აუდიტორიისთვის რუსული ეკონომიკის მედეგობისა და დასავლური სანქციების უმნიშვნელო გავლენის საჩვენებლად, კრემლისტური „ალტ-ინფო“ ამტკიცებდა, რომ მიუხედავად უკრაინაში შეჭრით გამოწვეული სანქციებისა, რუსეთის ექსპორტს საკვანძო პროდუქტების მხრივ პრობლემა არ შექმნია.

ვრცლად იხ. დანართი 2.2

**დასავლეთი უკრაინას აქეზებს / საქართველოს ომში ჩათრევა სურს.** ხდებოდა, როგორც ამერიკის, ასევე ევროკავშირისა და ბრიტანეთის დადანაშაულება ომის წაქეზებასა და ძალადობრივი გზით კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობაში.

კოორდინირებულად ვრცელდებოდა კონსპირაციები კრემლისტური ალტ-ინფოს მხარდამჭერი ანგარიშებისა და ანტივაქსერული გვერდების მიერ, თითქოს ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, აღიარებდა, რომ მას რუსეთ-უკრაინის ომი კორონავირუსის პანდემიასთან ერთად ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისთვის სურდა.

ლოკალურ კონტექსტში კრემლისტური ალტ-ინფოს მხარდამჭერი ფეისბუკ ანგარიშები ასევე ცდილობდნენ, ამერიკის ელჩი კელი დეგნანის სიტყვები მანიპულაციურად გაევრცელებინათ იმის დასამტკიცებლად, თითქოს დეგნანი ქვეყანას რუსეთთან ომში ჩართვისკენ მოუწოდებდა.

ვრცლად იხ. დანართი 2.3.

გარდა, კრემლისტური აქტორებისა, ბრალდებებს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნისა და ქვეყნის ომში ჩათრევის მცდელობის შესახებ უკრაინის ხელისუფლების მიმართ კოორდინირებულად სახელისუფლებო არაავთენტური ანგარიშები ავრცელებდნენ, რომელთაგან ბევრი სხვა ადამიანების იდენტობას იპარავდა. ამ შინაარსის ფეისბუქ პოსტებს კი არა მხოლოდ ანონიმური ფეისბუქ გვერდები, არამედ მმართველი პარტიის ოფიციალური გვერდებიც ასპონსორებდნენ.

ვრცლად იხ. სახელისუფლებო ტროლების „უკრაინული ფრონტი“

**დასავლეთი ომის მხარეა.** იმის საილუსტრაციოდ, რომ დასავლეთი ომის მხარეს წარმოადგენს და გარდა პოლიტიკური დაინტერესებისა, სამხედრო ოპერაციებშიც არის ჩართული, ვრცელდებოდა ცნობები ამერიკის საიდუმლო სამხედრო აგენტების, ასევე მარიუპოლში ნატოს ამერიკელი გენერალ-ლეიტენანტის როჯერ კლუტიეს დაკავების შესახებ. ამასთანავე ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვიზუალურ მტკიცებულებად РИА НОВОСТИ-ის ის ვიდეო იყო გამოყენებული, რომელიც რეალურად ყირიმში უკრაინის მოქალაქის დაკავებას ასახავდა.







ვრცლად იხ. დანართი 2.4.

**უკრაინისადმი დასავლეთის დახმარება უმნიშვნელოა.** მკვიდრდებოდა აზრი, თითქოს დასავლეთი უკრაინის მიმართ მხოლოდ ვერბალური დახმარებით შემოიფარგლებოდა: არც ლტოლვილებს იღებდა, არც თანამედროვე იარაღით ამარაგებდა და მხოლოდ ვარდისფერი ტანკების გადაცემით შე-მოიფარგლებოდა. 2012 წლის ქალაქ ბრაიტონის პრაიდზე წარმოდგენილი ვარდისფერი ტანკის ფოტო ჰომოფობიურ კონტექსტში მცდარი აღწერით (ამერიკის დახმარება აშშ-ს) ვრცელდებო-და და იმის ილუსტრირებას ისახავდა მიზნად, რომ დასავლეთისთვის პრიორიტეტული მხოლოდ ლგბტქ+ თემთან დაკავშირებული საკითხების თავსმოხვევაა.




ვრცლად იხ. დანართი 2.5.

**უკრაინაში სამხედრო დაპირისპირება დასავლეთის დაგეგმილია / დასავლეთს უკრაინის ბედი არ აღელვებს.** იმის საილუსტრაციოდ, რომ უკრაინაში რუსეთის საომარი მოქმედებები დასავლეთის დაგეგმილია, გამოყენებული იყო:

- გაყალბებული ციტატები: ამერიკელი ფილანტროფის ჯორჯ სოროსის და ამერიკელი დიპლომატის ზბიგნევ ბჟეზინსკის ძველი გაყალბებული ციტატები, რომ უკრაინა არავის ადარდებს და უკრაინა რუსეთის დამარცხებისთვის უნდა გამოიყენონ.
- ვიზუალური ეფექტით კლონირებული გამოსახულება: ხდებოდა ამერიკის პრეზიდენტის, უმცროსი ბუშის ძველი კლონირებული ვიდეოს ცირკულირება. რუსულად გახმოვანებულ ვიდეოში, სახელწოდებით "Большое Американское Шоу"-ს (დიადი ამერიკული შოუ) ამერიკის პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ უკრაინა და საქართველო მათი კოლონიებია და რომ საქართველოს ირანის, ხოლო უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ იყენებენ.
- გრაფიკულად დამუშავებული ფოტოები: დამუშავებული ფოტოკოლაჟი იმ კონსპირაციის დასამკვიდრებლად გამოიყენებოდა, რომ სიმპსონების ანიმაციამ რუსეთ-უკრაინის ომი იწინასწარმეტყველა.

ვრცლად იხ. დანართი 2.6.

**დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აწარმოებს / გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს.** რუსული სამთავრობო პირველი არხის მიერ ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ ე.წ „ფეიკების- ქარხანას“ ამუშავებს, რის საილუსტრაციოდაც უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული საინფორმაციო კლიპი იყო მოყვანილი, რომლითაც ნატოს უკრაინის ცის ჩაკეტვისკენ მოუწოდებდნენ.

ამასთანავე რუსულ მედიაში და სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ცნობა იმის შესახებ, რომ ცნობილი ამერიკელი მომღერლის ბრიტნი სპირსის ინსტაგრამი იმის გამო დაიბლოკა, რომ მან ნატო გააკრიტიკა და დასავლური მედია უკრაინის მაპროვოცირებელი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. ამ ინფორმაციას რუსულ ონლაინ პლატფორმებთან და სოციალური მედიის მომხმარებლებთან ერთად ბელორუსული გამოცემები Чеснок და Минская правда-ც ავრცელებდნენ. რამოდენიმე შემთხვევაში კი გაყალბებულ პოსტს თავად ფოტოშოპით დამუშავებული ბრიტნი სპირსის ფოტო ერთვოდა, რომელზეც მის მაისურზე რუსეთის დროშა იყო დატანილი.




ვრცლად იხ. დანართი 2.7.

**პოლონეთი უკრაინის ტერიტორიების დაბრუნებას გეგმავს / უკრაინის ტერიტორიული დაყოფა გარდაუვალია.** უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის საფრთხიდან ფოკუსის სხვა საფრთხეებზე გადატანის და რუსეთის პასუხისმგებლობის არიდების მიზნით, კრემლის პროპაგანდა ისტორიული ტრავმების გაღვივებას ცდილობდა და პოლონეთის მიერ დასავლეთ უკრაინის დაბრუნების გეგმაზე ყალბ ცნობებს კოორდინირებულად ავრცელებდა. მონიტორინგის პერიოდში „მითების დეტექტორმა" ამ მიზნით გავრცელებული 2 დეზინფორმაცია გამოავლინა:

1. რუქა, რომელიც დანაწევრებულ უკრაინის ტერიტორიას ასახავდა, წარმოდგენილი იყო, როგორც პოლონეთის გეგმა, უკრაინის დასავლეთ ნაწილი დაებრუნებინა. რეალურად, 2014 წლის რუკა პოლონეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში რუსეთის დუმის დეპუტატის ვლადიმერ ჟირინოვსკის მიმართვის ვიზუალიზაციისთვის გავიდა. ჟირინოვსკი პოლონეთს უკრაინის ტერიტორიების გადანაწილებას სთავაზობდა. „მითების დეტექტორმა" ფეისბუქსა და ინსტაგრამში აღნიშნული რუქის არასწორი აღწერით გავრცელების 51 შემთხვევა გამოავლინა, საიდანაც ყველაზე დიდი წილი (42) რუსულენოვან ონლაინ გამოცემებსა და სხვა ფეისბუქ ანგარიშებზე მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ რუსული წყაროების ნაწილი რუკას მეტწილად იდენტური ტექსტით ან შინაარსით ავრცელებდა:

- „პოლონეთმა უკვე გაინაწილა უკრაინა: პოლონელებმა ლვოვისთვის ბრძოლის გეგმა გამოავლინეს! უკვე კიევს არავინ არაფერს ეკითხება?“ (Польша уже поделила Украину: поляки раскрыли план битвы за Львов! А Киев уже никто не спрашивает?),
- „უკრაინის დაშლა გარდაუვალია“ (Распад Украины неминуем),
- „პოლონეთის ხედვა გარდაუვალ შედეგზე. ვარშავა საკმაოდ მიზანმიმართულად უმიზნებს მისი დიდი ხნის გეგმის რეალიზებას“... (ПОЛЬСКИЙ ВЗГЛЯД НА НЕИЗБЕЖНЫЙ ИТОГ Варшава вполне определенно прицелилась на реализацию своего давнего плана...)

2. **პოლონეთის ინიციატივა უკრაინაში ნატოს სამშვიდობო მისიის შეყვანის შესახებ,** წარმოდგენილი იყო, როგორც პოლონეთის გეგმა, უკრაინის დასავლეთ ნაწილი დაებრუნებინა. აღნიშნულ ინფორმაციას, ერთი მხრივ, კრემლის სამთავრობო მედია „სპუტნიკ უზბეკეთი“, მეორე მხრივ საქართველოში კრემლისტური ტვ „ალტ-ინფო“ ავრცელებდნენ და ამკვიდრებდა აზრს, რომ ვარშავის სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა უკრაინის დაყოფისა და დასავლეთ უკრაინის რეგიონების პოლონური ანექსიის მიზნებს ატარებდა.







ვრცლად იხ. დანართი 2.8.

**აღმოსავლეთ გაფართოებით NATO-მ რუსეთთან დადებული პირობა დაარღვია.** სამხედრო ინტერვენციის გამართლებისა და ბრალის დასავლეთზე გადატანის მიზნით კრემლის პროპაგანდა ამკვიდრებდა აზრს, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთისთვის მიცემული პირობა დაარღვია, რომ ალიანსი აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდებოდა. ამის საილუსტრაციოდ, როგორც რუსული პროპაგანდისტული Russia Today, ონლაინ მედიები და ინდივიდუალური Facebook გვერდები და ანგარიშები, ასევე ქართული ფეისბუქ გვერდები ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის 1997 სიტყვით გამოსვლის ფრაგმენტს მანიპულაციურად და არასრულად (შერჩევითად, მთლიანი კონტექსტის გარეშე) ავრცელებდნენ, რა დროსაც გამოტოვებული იყო ბაიდენის სიტყ-

ვების ის ნაწილი, სადაც ის ბალტიის ქვეყნების ნატოში გაწევრიანებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ალიანსის გაფართოება სტაბილურობის გაფართოების კუთხით რუსეთის ინტერესებშიც არის.

აღსანიშნავია, რომ დეზინფორმაცია, თითქოს NATO-მ აღმოსავლეთ გაფართოებით რუსეთთან 1997 წელს დადებილი ხელშეკრულება დაარღვია, **წლებია ვრცელდება**. რეალურად, „დამფუძნებელი აქტი" არ შეიცავს არც ერთ პუნქტს, რომელიც ალიანსის გაფართოებას გამორიცხავს, ვინაიდან ალიანსის წევრობა ქვეყნების სუვერენული ნების საფუძველზე ხდება. ხელშეკრულება კი თავად რუსეთმა 2008 წელს საქართველოსა და 2014 და 2022 წლებში უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფით დაარღვია.

ვრცლად იხ. დანართი 2.9.

**ამერიკას არ აქვს მორალური უფლება რუსეთი უკრაინაში შეჭრის გამო დაადანაშაულოს.** უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციაზე პასუხისმგებლობის არიდების და ბრალის დასავლეთზე გადატანის მიზნით, კრემლის პროპაგანდა კონტრბრალდებების (Whataboutism) ტექნიკას იმ აზრის დასამკვიდრებლად იყენებდა, რომ ამერიკას, რუსეთის კრიტიკის მორალური უფლება არ ჰქონდა. ამ მიზნით, როგორც რუსული, ასევე ქართული ფეისბუქ ანგარიშები ამერიკის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** ძველი გამოსვლიდან ციტატას არასწორი თარგმანით და მანიპულაციურად, შერჩევით ავრცელებდნენ, რაც მის სიტყვებს აზრს უცვლიდა. აღნიშნული ვიდეო, უკრაინაში მიმდინარე ომში რუსეთის პასუხისმგებლობის საპირწონედ, სერბეთთან მიმართებაში ამერიკის პასუხისმგებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას.

ვრცლად იხ. დანართი 2.10.

## 1.3. რუსეთის ქმედებების გასამართლებლად

**რუსეთი ომს იგებს / რუსეთს სამხედრო უპირატესობა აქვს.** რუსეთის სამხედრო/ტაქტიკური უპირატესობის საილუსტრაციოდ ომის დაწყების პირველ ეტაპზე განსაკუთრებით აქტიურად ვრცელდებოდა ფოტო-ვიდეო მანიპულაციები, რომელთა აღწერებში რუსეთის მიერ უკრაინის ცალკეული ქალაქების დაბომბვასა და რუსეთის სამხედრო ძალების დაწინაურებაზე კეთდებოდა აქცენტი. აღსანიშნავია, რომ ასეთი ვიზუალური მასალების მცდარი აღწერით გავრცელება ზოგჯერ მიზანმიმართული არ ყოფილა და ცალკეული ანგარიშები ზოგჯერ ასეთ ცნობებს შემთხვევით, ყოველგვარი განზრახვის გარეშე ავრცელებდნენ, შესაბამისად, გამონაკლისს შემთხვევებში მცდარი ინფორმაციის გავრცელებასთან გვქონდა საქმე და არა მიზანმიმართულ დეზინფორმაციასთან, რომელიც რუსეთის სამხედრო-ტაქტიკური უპირატესობის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად.

გარდა ვიზუალური მანიპულაციებისა, რუსეთის სამხედრო უპირატესობის დემონსტრირების მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის სიტყვების უკონტექსტოდ და მანიპულაციურად გამოყენება ხდებოდა. ბლინკენის სიტყვები, თითქოს მან რუსული ჯარის უპირატესობა აღიარა, როგორც რუსულ ონლაინ გამოცემებში, ასევე ქართულ სოციალურ ქსელებში ომის საწყის ეტაპზე ვრცელდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ჯარის უპირატესობის და უკრაინული ჯარის სისუსტის კულტივირებისთვის, კრემლი ინგლისურენოვან ექსპერტებსაც იყენებდა, რასაც აუდიტორიას დასავლეთის ნეიტრალური დამკვირვებლების პოზიციად სთავაზობდა. მაგალითად, 50-ზე მეტმა რუსულენოვანმა ფეისბუქ ანგარიშმა, მათ შორის რუსეთის პირველმა არხმა და რუსეთის საელჩოებმა უცხეთში, კოორდინირებულად გაავრცელეს გაეროს ყოფილი შეიარაღების ინსპექტორის, სკოტ რიტერის ინტერვიუს ის ფრაგმენტი, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ რუსულმა სამხედრო დანაყოფებმა მარიუპოლი ერთ საათზე ნაკლებ დროში აიღეს და უკრაინის არმია სრულიად ქმედუუნაროა. აღსანიშნავია, რომ რიტერის იდენტური ვიდეოს ქართველი ანტილიბერალური და კონსერვატიული პარტიის მხარდამჭერი ანგარიშებიც ავრცელებდნენ.

ვრცლად იხ. დანართი 3.1.

**სპეციალური ოპერაცია უკრაინის აგრესიის შესაკავებლად დაიწყო / კრემლს უკრაინის ტერიტორიაზე გადაადგილების ლეგიტიმური უფლება ჰქონდა.** კრემლის პროპაგანდა სამხედრო ინტერვენციის გამართლების მიზნით ამკვიდრებდა აზრს, რომ ე.წ „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ მხოლოდ პრევენციული ხასიათი ჰქონდა და უკრაინული აგრესიის შეკავებას და დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების დაცვას ისახავდა მიზნად. რუსეთის პირველმა არხმა იმის დასასაბუთებლად, რომ უკრაინის ეროვნული გვარდია დონეცკსა და ლუგანსკზე შეტევას გეგმავდა, „საიდუმლო“ დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომელიც რეალურად მტკიცებულების სიმულაციას წარმოადგენდა, რადგან ის არც საიდუმლო აღმოჩნდა და არც დონბასზე თავდასხმას ეხებოდა, მასში ლვოვის მხარეში დაგეგმილი რეგულარული წვრთნების ორგანიზების სტანდარტული საკითხები იყო გაწერილი.

რუსეთის შიდა აუდიტორიაზე გათვლილი კიდევ ერთი დეზინფორმაცია, სამხედრო ინტერვენციის გამართლების მიზნით, ამტკიცებდა, რომ უკრაინას გაეროს მიერ ოფიციალურად აღიარებული საზღვრები არ ჰქონდა, რის გამოც ქვეყანა გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა პან გიმუნმა ჯერ კიდევ 2014 წელს გააკრიტიკა. ამავე პოსტის თანახმად, რომელიც ფეისბუქსა და ინსტაგრამზე ორგანიზებულად გავრცელდა, ქვეყნის ტერიტორია, დსთ-ს დოკუმენტაციით, საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციული რეგიონი იყო და შესაბამისად, რუსეთს არც უკრაინის საზღვრები დაურღვევია, არც საერთაშირისო სამართალი. პოსტი ასევე ამტკიცებდა, რომ უკრაინა, როგორც სუვერენული სახელმწიფო არ არსებობს და არც არასდროს ყოფილა.




„მითების დეტექტორმა“ რუსულენოვან ფეისბუქსა და ინსტაგრამზე ასეთი შინაარსის გავრცელების 63 შემთხვევა გამოავლინა, საიდანაც დიდი წილი იდენტური დაკოპირებული ტექსტის სახით ვრცელდებოდა. პირველად მსგავსი შინაარსის ტექსტი კი რუსულ სოციალურ ქსელ livejournal-ში ერთ-ერთმა ანგარიშმა 2014 წელს ატვირთა.

ვრცლად იხ. დანართი 3.2.

**რუსეთის სამიზნე მშვიდობიანი მოსახლეობა არ არის.** უკრაინაში რუსეთის ქმედებების გასამართლებლად კრემლის პროპაგანდისტული მანქანა ამტკიცებდა, რომ რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობას არ ბომბავდა და მათი სამიზნე სამოქალაქო პირები და ობიექტები არ იყვნენ. უფრო მეტიც, კრემლის პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ მშვიდობიან მოსახლეობას თავად კიევი წირავდა და ფარად იყენებდა.

განცხადებებს, რომ კრემლი სამიზნედ მშვიდობიან მოსახლეობას არ ირჩევს, როგორც RT-ს მთავარი რედაქტორი მარგარიტა სიმონიანი და კრემლის პროპაგანდისტული სხვა არხები, ასევე საქართველოში კრემლისტური ტვ „ალტ-ინფოს“ წამყვანები ახმოვანებდნენ. ამავე აზრის დამკვიდრების მიზნით, კრემლის მედია ინგლისურენოვან სპიკერებს იყენებდა, რომელთაც რუსული პროპაგანდისტული მედია ხშირად ციტირებდა, ხოლო სოციალურ ქსელებში მათ ვიდეოებს კოორდინირებულად ავრცელებდნენ. მაგალითად, რუსული სამთავრობო მედია ფართოდ ტირაჟირებდა ამერიკელ მწერალ გონზალო ლირას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფართომასშტაბიანი ბრძოლები ასობით ან ათასობით მსხვერპლით არ არსებობდა და რუსული არმია უკრაინაში ფეხის წვერებზე დადიოდა.




ვრცლად იხ. დანართი 3.3.

**მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში რუსეთის მხარდასაჭერად და ნატოს და უკრაინელების წინააღმდეგ აქციები იმართება.** იმ აზრის დასამკვიდრებლად, რომ რუსეთის „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ ქვეყნის გარეთაც უჭერენ მხარს, ყალბი და მანიპულაციური შინაარსი ვრცელდებოდა:

- მოსკოვში 2017 წელს გამართული აქციის ამსახველი ფოტო ყალბი აღწერით ვრცელდებოდა და 2022 წელს ბულგარეთში რუსეთის მხარდასაჭერ აქციად იყო წარმოჩენილი;
- რუსეთის პირველი არხი და ქართული ფეისბუქ ანგარიშები სომხეთსა და თურქეთში ადგილობრივი კომუნისტური პარტიების მიერ ორგანიზებულ ნატოს საწინააღმდეგო და რუსეთის მხარდამჭერ აქციებს, მანიპულაციურად, სრული კონტექსტის გარეშე მოსახლეობის მასობრივ პროტესტად წარმოაჩენდნენ და არ უთითებდნენ, თუ ვინ იყვნენ ღონისძიებების ორგანიზატორები.

ვრცლად იხ. დანართი 3.4.

# 2. კომუნიკაციის არხები და მათი MODUS OPERANDI

ორთვიანმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ კრემლი ფეისბუქსა და ინსტრაგრამზე ინფორმაციული ოპერაციების განსახორციელებლად და პროპაგანდის მიზნით კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს იყენებს, რაც თავის მხრივ განსხვავებულ აუდიტორიებზეა მორგებული. კერძოდ, გამოიკვეთა დეზინფორმაციის და მანიპულაციური შინაარსის გავრცელების შემდეგი წყაროები:

- რუსეთის სამთავრობო და პროპაგანდისტული მედია
- უკრაინული და ბელორუსული წყაროები
- უცხოელი ექსპერტები
- რუსეთის საელჩოები უცხოეთში
- უცხოელი ჟურნალისტები და საკომუნიკაციო არხები
- დიასპორების და  უკვდავი პოლკის ფეისბუქ ანგარიშები სხვადასხვა ქვეყნებში
- კომუნისტური პარტიები უცხოეთში
- პუტინის მხარდამჭერი ფეისბუქ ანგარიშები
- ქართული კრემლისტური, ანტილიბერალური და ანტივაქსერული ჯგუფები.

გამოვლინდა შემთხვევები, როცა ზოგიერთი საინფორმაციო მედია მონიტორინგის გვერდის ავლის მიზნით, პოლიტიკური შინაარსის მასალებს ან გასართობი არხებით ავრცელებდა, როგორც ეს კრემლის პროპაგანდისტის, დასავლეთის მიერ სანქცირებული ვლადიმერ სოლოვიოვის სატელვიზიო გადაცემის შემთხვევაში იყო, ან კოორდინირებულად პარტიის მხარდამჭერი ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიშების მეშვეობით, როგორც ეს საქართველოში კრემლისტური ტვ „ალტ-ინფოსა“ და კონსერვატიული მოძრაობის შემთხვევაში გამოვლინდა.

**რუსეთის სამთავრობო და პროპაგანდისტული მედია:** მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი დეზინფორმაცია ყველაზე ხშირად შემდეგი რუსულენოვანი სამთავრობო და პროპაგანდისტული მედიებით და მათი ფეისბუქ ანგარიშებით  ვრცელდებოდა:

## ცხრილი 2. რუსეთის სამთავრობო და პროპაგანდისტული მედია არხები

| ტელევიზია | ონლაინ გამოცემები |
|---|---|
| Первый канал | РИА Новости (ria.ru) |
| Russia Today (RT) | Пravda.ru |
| Россия 1 | gazeta.ru |
| Ren.tv | regnum.ru |
| Царьград | взгляд.ru |
| НТВ | Sputnik |
| Россия 24 | Аргументы и факты |
| Телеканал «Звезда» (რუსეთის თავდაცვის სამინისტრო) | Московский комсомолец |
| lentv24.ru | Комсомольская правда |
| Мир 24 | Известия, |
| Planeta RTR | Eurasia daily |
| trt-tv.ru | interfax.ru |
| | lenta.ru |
| | tehnowar.ru |
| | вести.ru |
| | tass.com |
| | Российская Газета (rg.ru) |
| | topwar.ru |
| | glas.ru |
| | News-Front.info |
| | ura.news |

ამასთანავე დეზინფორმაციის წყარო ხშირად რუსული პროპაგანდისტული ტელეარხის Russia Today-ს მთავარი რედაქტორი მარგარიტა სიმონიანიც იყო, რომლის კომენტარები უკრაინის მოვლენებზე სოციალურ ქსელებში სხვადასხვა არხებით ვრცელდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროპაგანდისტული არხის გადაცემები ფეისბუქის სხვადასხვა გვერდებით ვრცელდება. მაგალითად, გასართობ ფეისბუქ გვერდზე Музыка 80-90-00’s (80-90-იანების მუსიკა) 21 მარტიდან მუსიკალური რეპერტუარი ტელეარხ Россия 1-ის წამყვანის, დასავ-ლეთის მიერ სანქცირებული ვლადიმერ სოლოვიოვის სატელევიზიო გადაცემით „საღამო ვლა-დიმერ სოლოვიოვთან ერთად“ (Вечер с Владимиром Соловьевым) ჩანაცვლდა. აღნიშნული გადა-ცემის ვიდეოები გვერდზე სისტემატურად იდება.




*სქრინი: 21 მარტიდან ფეისბუქ გვერდზე [Музыка 80-90-00's] Россия 1-ის გადაცემა „საღამო ვლადიმერ სოლოვიოვთან ერთად" რეგულარულად ვრცელდება*




*სქრინი: ბოლო მუსიკალური კლიპი ფეისბუქ გვერდზე [Музыка 80-90-00's] 19 თებერვალს არის დადებული.*

**უკრაინული და ბელორუსული წყაროები.** ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი უკრაინული და ბელურუსული რუსულენოვანი წყაროები, რომელთაც ცალკეულ შემთხვევებში დეზინფორმაციული ან მანიპულაციური შინაარსი გაავრცელეს. უკრაინული წყაროების დიდი ნაწილი თვითგამოცხადებული დონბასის და ლუგანსკის მედიებზე მოდის.

### ცხრილი 3. დონბასის / ლუგანსკის და ბელორუსის მედია წყაროები

| დონბასის / ლუგანსკის მედია წყაროები | ბელორუსი |
|---|---|
| Портал ДНР<br>Донбасс Сегодня<br>Донецкое Агентство Новостей<br>Крымское Эхо<br>antimaydan.info<br><br>Youtube: Луганск news | Sputnik Беларусь: ОНТ,<br>ბელორუსის მეორე საზოგადოებრივი არხი<br>belarus1tv<br>Чеснок<br>Минская правда<br>FB გვერდი: ATH: Новости Беларуси и мира<br>Пул Первого |

აღსანიშნავია ისიც, რომ მცდარი ინფორმაციის წყაროდ კრემლის პროპაგანდა უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნიკოლაი აზაროვს და პრორუს ოპოზიციონერ ილია კივას აქტიურად იყენებდა.



ნიკოლაი აზაროვი უკრაინელი პოლიტიკოსია, რომელიც უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტს 2010-2014 წლებში იკავებდა. 2014 წელს, ევრომაიდანის პარალელურად, აზაროვმა თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება გააკეთა და რამდენიმე საათში ქვეყანა დატოვა. 2014 წლიდან, ძალაუფლების არამიზნობრივად გამოყენების გამო იგი საერთაშორისოდ ძებნილ პირთა სიაში იყო. ევრომაიდანის მოვლენების გამო კი 2014 წლიდან 2020 წლამდე აშშ-სა და ევროკავშირის მიერ იყო სანქცირებული. 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისიდანვე აზაროვი მხარს უჭერდა რუსეთის ე.წ „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ და აცხადებდა, რომ ოპერაციას პრევენციული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან NATO 2022 წლის ზაფხულში უკრაინის ტერიტორიაზე ოთხი სამხედრო ბრიგადის განთავსებას გეგმავდა, ხოლო წლის ბოლოს კი „პარტნიორები“ უკრაინის ხელით რუსეთთან ბირთვული კონფლიქტის პროვოცირებას აპირებდნენ.



**ილია კივა** უკრაინელი პოლიტიკოსია, რომელიც 2019 წლიდან 2022 წლის მარტამდე უკრაინის უმაღლესი რადას „ოპოზიციური პლატფორმა – სიცოცხლისთვის“ დეპუტატი იყო. 2022 წლის 15 თებერვალს მას რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ გაკეთებული ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებისა და ჩადენილი ქმედებების გამო დეპუტატის მანდატი შეუწყდა. 2022 წლის 6 მარტს, უკრაინის მთავარმა პროკურორმა, ირინა ვენედიქტოვამ კი **განაცხადა**, რომ იგი სამშობლოს ღალატის გამო გასამართლდებოდა, ვინაიდან მას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში, რუსულ საომარ პროპაგანდაში მონაწილეობასა და იარაღის უკანონო ფლობაში ედებოდა ბრალი. უკრაინაში რუსეთის ინტერვენციამდე რამდენიმე დღით ადრე, კივამ უკრაინა დატოვა და ესპანეთში გაემგზავრა. ომის დაწყებისთანავე ის რუსეთის ინტერვენციას, როგორც უკრაინის გათავისუფლების შესაძლებლობას **მიესალმა**, ვინაიდან თვლიდა, რომ უკრაინელი, რუსი და ბელარუსი ხალხი ერთი ერი იყო, „უკრაინა კი დასავლეთის მიერ იყო დამონებული და ნაციზმით გაჟღენთილი იყო“.

**უცხოელი ექსპერტები:** წარსულში გაეროს ინსპექტორი სკოტ რიტერი და ამერიკელი მწერალი გონზალო ლირა რუსეთის პოზიციების გამართლების მიზნით როგორც Russia Today-ს ეთერში, ასევე რუსეთის სხვა პროპაგანდისტულ მედია პლატფორმებზე ხშირად ჩნდებოდნენ, ხოლო შემდეგ ინსტაგრამსა და ფეისბუქზე მათი კომენტარების კოორდინირებული გავრცელება **ხდებოდა**. „მითების დეტექტორმა“ რუსულენოვანი არხებით ორივე ექსპერტის კომენტარების გავრცელების 100-მდე შემთხვევა გამოავლინა. ამასთანავე, რიტერის კომენტარები ქართულენოვან ფეისბუქ მომხმარებელთა შორისაც ვრცელდებოდა.












კომენტარები, რომლებიც რუსეთის ქმედებების გამართლებას ისახავდა მიზნად, ერთი მხრივ, რუსეთის შიდა აუდიტორიაზე იყო გათვლილი და ინგლისურენოვანი სპიკერების მეშვეობით კრემლის ქმედებების ლეგიტიმაციას ემსახურებოდა, მეორე მხრივ, საერთაშორისო აზრის მობილიზებაზე და Russia Today-ს მეშვეობით გლობალურად ვრცელდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოტ რიტერის ვიდეო კომენტარებს უცხოეთში რუსეთის საელჩოებიც ავრცელებდნენ (იხ. ქვემოთ). რიტერის ვიდეოები ვრცელდებოდა გზავნილებით, რომლებიც მის პროფესიონალიზმსა და მიუკერძოებლობაზე აკეთებდა აქცენტს და დასავლეთის გამოფხიზლებად იყო წარმოჩენილი:

- დასავლეთი იწყებს გამოფხიზლებას (Запад начинает прозревать);

- რატომ ესმის ამერიკელს რუსეთის ფასეულობები და სიტუაცია ამ სამხედრო ოპერაციასთან დაკავშირებით უკეთ, ვიდრე ამერიკის ხელმძღვანელობას (Почему этот американец понимает в русских ценностях и ситуации с этой военной операцией больше, чем руководство США).
- უბრალოდ პროფესიული და სამართლიანი ანალიტიკა ამერიკელი ექსპერტისა! (Просто профессиональная и правдивая аналитика американского эксперта!).

რიტერის ექსპერტიზის ბუჩის ტრაგედიის და მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული რუსეთის სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამართლების მიზნით გამოყენება ხდებოდა, რა დროსაც მისი ვიდეოკომენტარები შემდეგი ტექსტით ვრცელდებოდა:

- გაეროს ყოფილი ინსპექტორი ბუჩაზე უკრაინის განცხადებებში დაეჭვდა (Экс-инспектор ООН усомнился в заявлениях Украины по событиям в Буче).
- დავუკავშირდით სკოტ რიტერს, რომელმაც სოცქსელებში ბუჩის ტრაგედიაში უკრაინა დაადანაშაულა და დაიბლოკა (Пообщались со Скоттом Риттером, который в соцсети обвинил Нацполицию Украины в трагедии в Буче и был заблокирован).

**სკოტ რიტერი** 1991-98 წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღების წამყვანი ინსპექტორი იყო. თანამდებობის დატოვების შემდეგ იგი ამერიკის მთავრობის აქტიურ კრიტიკოსად იქცა. რიტერი არაერთხელ გაეხვა ონლაინ სექს სკანდალში, სადაც არასრულწლოვნები ფიგურირებდნენ. პირველ ჯერზე, 2001 წელს, მან ციხეში 6 თვე გაატარა. 2009 წელს რიტერი კიდევ ერთხელ დააკავეს ანალოგიური ბრალდებით და 2011 წელს 6 მუხლით გაასამართლეს. მას 1.5-დან 5.5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი 2014 წელს თავდებით გაათავისუფლეს.

**მონზელო ლირე** ამერიკული გამოცემა Daily Beast-ის მიერ ჩატარებული **გამოძიების** თანახმად, ომის დაწყებამდე თავს არც მწერალს და არც ჟურნალისტს ან საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსს უწოდებდა. იგი Coach Red Pill-ის სახელით ვიდეოებს ამზადებდა რომანტიულ ურთიერთობებსა და გართობაზე.

**რუსეთის საელჩოები უცხოეთში.** კრემლი დეზინფორმაციის გასავრცელებლად და რუსეთის ქმედებების გასამართლებლად უცხოეთში მისი საელჩოების ფეისბუქ ანგარიშებსაც იყენებდა. მაგალითად, სკოტ რიტერის ინტერვიუს კვიპროსსა და არგენტინაში რუსეთის საელჩოებიც ავრცელებდნენ. ბუჩას ტრაგედიის გამართლების მიზნით გაკეთებულ რიტერის კომენტარს კი სლოვაკეთში რუსეთის საელჩო ავრცელებდა.







**უცხოელი ჟურნალისტები და საკომუნიკაციო არხები:** დილიანა გაიტანჯიევა და ჯეფრი სილვერმანი ბიოლოგიური ლაბორატორიების თემაზე რუსული პროპაგანდისტული მედიის წყაროები წლებია არიან. მათი კომენტარები და პუბლიკაციები უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის დროსაც აქტუალური გახდა, როცა კრემლმა უკრაინასა და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ამერიკის მხარდაჭერილი ლაბორატორიების თემა პროპაგანდისტული მიზნით ბიოსაფრთხეების კონტექსტში წამოწია.



დილიანა გაიტანჯიევა, ბულგარელი ჟურნალისტია, რომელსაც კავშირები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მფლობელობაში არსებული ტვ Zvezda-სთან აქვს და სხვადასხვა უწყებებიდან გაჟონილ დოკუმენტებს, მათ შორის კიბერთავდასხმების შემდეგ ხშირად აქვეყნებს.




ჯეფრი სილვერმანი საქართველოში მცხოვრები ამერიკელი ჟურნალისტია, რომელიც რუსეთთან დაკავშირებული Veterans Today-ს საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი და ამერიკის მიერ სანქცირებული გამოცემის USA Really-ს ავტორია. როგორც გაიტანჯიევა, ასევე სილვერმანი უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის პერიოდში ბიოლოგიურ ლაბორატორიებთან დაკავშირებით კრემლის დეზინფორმაციულ კამპანიებში ფიგურირებდნენ.

ბუჩის ტრაგედიაში რუსეთის პასუხისმგებლობის არიდების მიზნით გამოყენებული იყო თურქული გამოცემა Aydinlik-ის პუბლიკაცია, რომელიც ბუჩის ტრაგედიაზე New York Times-ის გამოძიებას და სატელიტურ მტკიცებულებებს ეჭვქვეშ აყენებდა. აღნიშნულ გამოცემას კი თავის მხრივ რუსული პროპაგანდისტული მედიები, როგორც ნეიტრალურ გამოძიებას, რუსეთის გასამართლებლად იყენებდნენ.

გამოცემა  Aydilnik-ი თურქეთის პატრიოტულ პარტიას (Vatan Partisi) ეკუთვნის. პარტია ევრაზიისტული იდეოლოგიისაა და პრორუსულად, პროჩინურად და ანტიამერიკულად არის განწყობილი. პარტია თურქეთის ნატო-დან გამოსვლას ითხოვს და თურქეთის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას ეწინააღმდეგება.

ცალკეულ შემთხვევაში რუსულ მედიებში გავრცელებული ყალბი ცნობების იდენტური შინაარსი უცხოეთის მედიაშიც ხვდებოდა. მაგალითად, რუსულენოვანი გამოცემა საბერძნეთში Афинские Новости ან სერბული srbin.info ერთ შემთხვევაში უკრაინის პრეზიდენტზე, ხოლო მეორე შემთხვევაში აზოვსტალზე მცდარ ინფორმაციას ავრცელებდნენ.

გამოვლინდა ასევე ფეისბუქ გვერდი Future Russia, რომელიც ერთდროულად როგორც რუსეთიდან, ასევე სერბეთიდან იმართება და 2017 წელს მოსკოვში გადაღებულ ფოტოს რუსეთ-უკრაინის

2022 წლის ომში ბულგარელების მიერ რუსეთის მხარდაჭერის სადემონსტრაციოდ იყენებდა. ამავე გვერდზე ვრცელდებოდა პროპაგანდისტული და ანტიდასავლური პოსტები.










ერთ-ერთ შემთხვევაში რუსულენოვან ფეისბუქ ჯგუფში (Russian Canada-Русская Канада) ყალბი აღწერით ვიდეოს გაზიარება არაბულენოვანი ფეისბუქ გვერდიდან موسوعة الأسلحة التكتيكية (ტაქტიკური იარაღის ენციკლოპედია) მოხდა, რომელიც ლიბანიდან და ერაყიდან იმართება. აღნიშნული გვერდი ხშირად ავრცელებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ტელეარხ Zvezda-ს

რუსულენოვან, ასევე სხვა პროპაგანდისტული მედიების Russia Today-ს არაბულენოვან და РИА Новости-ს რუსულენოვან მასალებს.













**დიასპორების და უკვდავი პოლკის ფეისბუქ ანგარიშები უცხოეთში:** კრემლი რუსული სამყაროს ნაწილად განიხილავს ყველა იმ რუსულენოვან ხალხს, ვინც რუსეთის საზღვრებს მიღმა დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრობს და იქ რუსული რბილი ძალის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენს. შესაბამისად, რუსული დიასპორებისა და უკვდავი პოლკის ფეისბუქ ანგარიშები სხვადასხვა ქვეყნებში უკრაინა-რუსეთის ომის დროს როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის, ასევე ადგილობრივი დიასპორების მობილიზებისა და კონსოლიდირებისთვის გამოიყენებოდა. „მითების დეტექტორმა" ორთვიანი მონიტორინგის და შემდგომ პერიოდშიც გამოავლინა რუსული დიასპორის და უკვდავი პოლკის ანგარიშები სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც ომზე დეზინფორმაციას და პროპაგანდისტულ გზავნილებს ავრცელებდნენ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია

ის ფეისბუქ გვერდები და ჯგუფები, სადაც უკრაინის და დასავლეთის წინააღმდეგ ყალბი ან მანიპულაციური შინაარსის მასალები ვრცელდებოდა. ყველაზე ხშირად ასეთი პოსტები ჯგუფში Russian Canada-Русская Канада და ფეისბუქ გვერდზე Русский МИР გვხვდებოდა. ფეისბუქ გვერდ რუსული სამყაროს (Русский МИР) შესახებ ინფორმაციაში წერია, რომ „რუსულ სამყაროს შეუძლია და უნდა გააერთიანოს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია რუსული სიტყვა და კულტურა, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის, რუსეთსა თუ მის ფარგლებს გარეთ“.




აღნიშნული გვერდი რუსეთის გარდა სომხეთიდან და ბულგარეთიდან იმართება, ბულგარეთის უკვდავი პოლკის ჯგუფი კი – მოსკოვიდან, Русские Афины – საბერძნეთთან ერთად მოლდოვიდან, ხოლო Русский Дом в Афинах – რუსეთიდან.

### ცხრილი 4. დიასპორების და უკვდავი პოლკის ფეისბუქ ანგარიშები უცხოეთში

| FB გვერდი | FB ჯგუფები |
|---|---|
| Русские Афины – Russian Athens<br>**გამომწერი:** 47,888<br>People who manage this Page<br>Primary country/region location for people who manage this Page includes:<br>Greece (7)<br>Moldova (1) | Russian Canada-Русская Канада<br>**გამომწერი:** 34800<br>**ადმინი:** კანადა |
| Русский МИР<br>**გამომწერი:** 31,261<br>People who manage this Page<br>Primary country/region location for people who manage this Page includes:<br>Russia (4)<br>Armenia (1)<br>Bulgaria (1) | Информация от русия и за русия<br>(ამჟამად დახურულია)<br>**გამომწერი:** 28700 |

| FB გვერდი | FB ჯგუფები |
| --- | --- |
| Сдружение на русофилите в България / Содружество русофилов Болгарии<br>**გამომწერი:** 25,833<br>**ადმინი:** ბულგარეთი | БЕЗСМЪРТЕН ПОЛК НА БЪЛГАРИЯ / Бессмертный полк БОЛГАРИЯ<br>**გამომწერი:** 13800<br><br> |
| Ρωσικό Σπίτι στην Αθήνα / Русский Дом в Афинах<br>**გამომწერი:** 13,226<br><br> | Русские в Италии – свобода мыслить Russi in Italia – liberi di pensare<br>**გამომწერი:** 11 300 |
| Russian washington<br>**გამომწერი:** 2,938<br>**ადმინი:** აშშ | Russian-Canadian News<br>**გამომწერი:** 9700 |
| Русские в Старой Загоре<br>**გამომწერი:** 1,192<br>**ადმინი:** ბულგარეთი | Новости Эстонии<br>**გამომწერი:** 7200 |
| Типичный латвийский русский<br>**გამომწერი:** 694 | Русские в Австралии – Russians in Australia<br>**გამომწერი:** 5100<br>**ადმინი:** ავსტრალია |
| | Болгария русскоговорящая 3.0<br>**გამომწერი:** 4500<br>**ადმინი:** სოფია |
| | Мошенники Эстонии<br>**გამომწერი:** 563<br>**ადმინი:** ესტონეთი |

იმის მაგალითად, თუ როგორ იყენებს კრემლი დიასპორებს უცხოეთში საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისა და მცდარი ინფორმაციის გავრცელებისთვის, დრეზდენში „ღამის მგლების“ მიერ

გამართული აქცია გამოდგება, რომელიც სოციალურ ქსელში „გერმანულ დრეზდენში“ უკრაინელების წინააღმდეგ პროტესტად იყო წარმოჩენილი.

**კომუნისტური პარტიები უცხოეთში.** მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც უცხო ქვეყნის კომუნისტური პარტიების, კერძოდ, სომხეთისა და თურქეთის მიერ ორგანიზებული რუსეთის მხარდამჭერი და ნატოს საწინააღმდეგო აქციები უკონტექსტოდ, მთელი ქვეყნის სომხეთის და თურქეთის პროტესტად იყო წარმოჩენილი.

**პუტინის მხარდამჭერი ანგარიშები.** მონიტორინგის პროცესში ასევე გამოვლინდა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მხარდამჭერი ფეისბუქ ანგარიშები, სადაც გარდა დეზინფორმაციული პოსტებისა, პროპაგანდისტული გზავნილებით და ვიზუალით პუტინის განსაკუთრებულობის დემონსტრირება, უფრო მეტიც, პუტინისა და და რუსეთის ერთმანეთთან გაიგივება ხდებოდა. მაგალითად 2017 წლის ივნისში შექმნილ ერთ-ერთ ჯგუფს თავდაპირველად ერქვა „რუსეთზე უკეთესი ქვეყანა მთელ მსოფლიოში არ არის!!!“ (ЛУЧШЕ РОССИИ, НЕТ В МИРЕ СТРАНЫ !!! ПРИСОЕДИНЯЙТЕСЬ К НАМ !!!), მოგვიანებით კი სახელი შეიცვალა და „პუტინისთვის – რუსეთისთვის“ (ЗА ПУТИНА – ЗА РОССИЮ) გახდა.

**ცხრილი 5. პუტინის მხარდამჭერი ფეისბუქ ანგარიშები**

| FB ჯგუფი / გვერდი | |
|---|---|
| ЗА ПУТИНА – ЗА РОССИЮ<br>**ჯგუფის წევრი:** 54700 |  |
| Наш выбор В. В. Путин<br>**ჯგუფის წევრი:** 48500 | <br> |

| FB ჯგუფი / გვერდი | |
|---|---|
| ВЛАДИМИР ПУТИН – МИРОТВОРЕЦ<br>**გამომწერი:** 38000 |  |
| Мы за Владимира Владимировича Путина!<br>**ჯგუფის წევრი:** 4900 |  |

**ქართული კრემლისტური, ანტილიბერალური და ანტივაქსერული ჯგუფები.** ქართულენოვანი წყაროები, რომლებიც კრემლის იდენტურ პროპაგანდისტულ და დეზინფორმაციულ მასალებს ავრცელებდნენ, ფრაგმენტიზირებული იყვნენ. თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული დეზინფორმაციულ კამპანიაში და ამ მიზნით სხვადასხვა აქტორების მობილიზებას ახდენდა:

- **კრემლისტურ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული აქტორები:** ორი კრემლისტური პარტია – „ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა“ და „პატრიოტთა ალიანსი“ – მათი საკომუნიკაციო არხებით, კრემლის საინფორმაციო დღის წესრიგთან იყო თანხვედრაში. აღსანიშნავია, რომ ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა, რომელთან დაკავშირებული ანგარიშები ფეისბუქმა, კოორდინირებული არაავთენტური ქმედების (CIB) გამო წარსულში არაერთხელ წაშალა, დეზინფორმაციის გავრცელების მიზნით პარტიისა და ტელევიზიის მხარდამჭერების ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიშების მობილიზებას ახდენდა. სოციალური მედიის მონიტორინგის ინსტრუმენტების გვერდის არიდების მიზნით, რომელიც ძირითადად ღია ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა, ინდივიდუალური პროფილებით როგორც „ალტ-ინფოს“ სატელევიზიო პროდუქტის კოორდინირებული გავრცელება, ასევე უკრაინასთან დაკავშირებული იდენტური ყალბი ცნობების და ვიზუალური მანიპულაციის გაზიარება ხდებოდა. ამასთანავე, შინაარსი, რომლის ტირაჟირებას ალტ-ინფოსა და კონსერვატიული პარტიის მხარდამჭერები ახდენდნენ, სოცქსელების რუსულენოვან მომხმარებლებში გავრცელებული მასალების იდენტური იყო. ზოგჯერ ეს მასალები უშუალოდ ომის მიმდინარეობისას ვირუსუ-

ლად ვრცელდებოდა, ზოგჯერ ქართულენოვან აუდიტორიაში ადრე გავრცელებული რუსულენოვანი დეზინფორმაციის ხელმეორედ გადაზიარება მიმდინარე ომის კონტექსტში ხდებოდა.

- **სხვა კრემლისტური აქტორები:** უკრაინაზე დეზინფორმაციის გავრცელებაში ასევე ჩართული იყვნენ კრემლისტური ონლაინ პლატფორმები „საქართველო და მსოფლიო“ (Geworld.ge), Sezonitv.ge, Newsfront, ასევე spnews.io, რომელიც Newsfront-თან და Politicano • პოლიტიკანო-სთან დაკავშირებული გამოცემაა. თავის მხრივ, „პოლიტიკანო“ პრიმაკოვის რუსულ-ქართულ ცენტრთან დაკავშირებული ფეისბუქ გვერდია, რომელიც უკრაინაში ომის დაწყებამდეც და შემდეგშიც ფეისბუქზე უკრაინის და დასავლეთის საწინააღმდეგო პოსტების დასპონსორებას ახდენდა. ომთან და უკრაინასთან დაკავშირებით ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში იყო ასევე ჩართული ყოფილი სამხედრო და ულტრამემარჯვენე „ქართული მარშის“ წევრი ერმილე ნემსაძე, რომელიც ფეისბუქ გვერდ Azimut \ აზიმუტს მართავს და რომელიც წარსულში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივ აქციებში მონაწილეობდა. ომის საწყის ეტაპზე დეზინფორმაციულ კამპანიაში ჩართული იყო „ევრაზიის ინსტიტუტთან“ და Newsfront-თან დაკავშირებული შოთა აფხაიძის ფეისბუქ ანგარიში და ცალკეული ინდივიდუალური ფეისბუქ პროფილები.
- **ანტივაქსერები:** ფეისბუქ ანგარიშები, რომლებიც პანდემიის დროს ანტივაქსერულ საინფორმაციო კამპანიებში იყვნენ ჩართულნი, უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ უკრაინის საწინააღმდეგო და რუსეთის ქმედებების გამამართლებელ კამპანიებზე იყვნენ ფოკუსირებული და პანდემიასთან ერთად მიმდინარე ომსაც კონსპირაციების, მათ შორის „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შემადგენლად განიხილავდნენ.
- **რელიგიური წყაროები:** უკრაინის საწინააღმდეგო და რუსეთის ქმედებების გამამართლებელ განცხადებებს ხშირად სასულიერო პირი, სხალთელი მთავარეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე აკეთებდა, რომლის ვიდეო მიმართვებს ალტ-ინფოსა და კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერები, ასევე რელიგიური შინაარსის პროფილები (Sxaltis Mtavarepiskoposi Spiridoni, ღმერთი სამშობლო ადამიანი) კოორდინირებულად ავრცელებდნენ. სასულიერო პირის ძირითადი გზავნილები უკავშირდებოდა იმას, რომ რუსები და უკრაინელები ერთი ერია და რომ მათ შორის განხეთქილების ჩამოგდებას დასავლეთი ცდილობს.

## ცხრილი 6. ქართულენოვანი წყაროები პოლიტიკური, რელიგიური და სხვა აფილაციის მიხედვით

| პარტიული / სხვა აფილაცია | TV / ონლაინ | FB გვერდები / ჯგუფები | ინდ. მხარდამჭერი FB პროფილები |
|---|---|---|---|
| კრემლისტურ ალტ-ინფო/ კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული ანტილიბერალური ჯგუფები | ალტ-ინფო (მაუწყებელი) | ალტერნატიული ანალიტიკა<br>ტრადიციონალისტური პლატფორმა<br>კონსერვატორი ქალები<br>კონსერვატორი | კონსერვატიული მოძრაობა ხევი ქრისტიანი,<br>კონსერვატორი არის აქ,<br>თალიბანელი კონსერვატორი,<br>ამირანი ფრუიძე, |

| პარტიული / სხვა აფილაცია | TV / ონლაინ | FB გვერდები / ჯგუფები | ინდ. მხარდამჭერი FB პროფილები |
|---|---|---|---|
| | | კონსერვატიული მოძრაობა – ლაგოდეხის ორგანიზაცია, კონსერვატიული მოძრაობა სამტრედიაში<br>ბექა ვარდოსანიძის<br>ბლოგი • Beka Vardosanidze’s blog<br>წალკა • ინფო / Tsalka • Info | ალტერ ნატივა,<br>ოთარ დანელია,<br>ირაკლი ზაქარეიშვილი,<br>ბექა ვარდოსანიძე,<br>ლელა პრაგა<br>Nino Gavashel,<br>ელენე ჯვარელი,<br>შაკო ქერელაშვილი,<br>ქაროსა ნი,<br>ანტი ლიბერალი,<br>Beqa Anjafaridze,<br>ილია კობაიძე,<br>Ramaz Gagnidze |
| კრემლისტურ პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული არხები | მედია-კავშირი ობიექტივი<br>tvalsazrisi.ge<br>infoanalytical.ge | მედია-კავშირი ობიექტივი<br>Tvalsazrisi.ge<br>infoanalytical.ge | ირაკლი ჯანყარაშვილი / irakli jankarashvili |
| სხვა კრემლისტური აქტორები | საქართველო და მსოფლიო (Geworld.ge)<br>Sezonitv.ge<br>spnews.io<br>Newsfront<br>საქინფორმი | Azimut \ აზიმუტი<br>Politicano • პოლიტიკანო<br>საქართველო და მსოფლიო<br>Константин Чиквиладзе<br>World political news<br>ლევან ვასაძის მხარდამჭერები<br>ახალგაზრდული პუტინისტური დაჯგუფება | ერმილე ელგუჯას-ძე ნემსაძე (Pheonix Ernemso)<br>Shota Apkhaidze<br>Gurami Xafava<br>მალხაზ ხაბაზი<br>ფანტინა კოელიო (Fantina Georgian Sin Gle)<br>Giorgi Khomeriki |
| სხვა ანტილიბერალური ჯგუფები | | მოძრაობა ძლევაი საკვირველი<br>ეროვნული ტელევიზია დიდგორი TV<br>სიმართლე | მე თამარაშნელი ვარ<br>Faika Nacvlishvili<br>ქართული მგელი |

| პარტიული / სხვა აფილაცია | TV / ონლაინ | FB გვერდები / ჯგუფები | ინდ. მხარდამჭერი FB პროფილები |
|---|---|---|---|
| ანტივაქსერები | | თემურ ბოკელავაძე და საზოგადოება<br>Davit Tordia – დავით თორდია<br>ქართული TV | ბიბლიის მორწმუნე ქრისტიანები<br>ბოლო ჟამის ქრისტიანები<br>Lasha Modebadze<br>მანო ბერიძე<br>ლაშა მენთეშაშვილი<br>Doctors Charlz<br>Nina Marji<br>მაია დ. სათადარიგო<br>ნიკა კობერიძე |
| რელიგიური | | | მეუფე სპირიდონ აბულაძე<br>Sxaltis Mtavarepiskoposi Spiridoni<br>ღმერთი სამშობლო ადამიანი |

# MALTEGO-ს ვიზუალიზაცია. რუსეთ-უკრაინის ომზე ყალბი და მანიპულაციური შინაარსის გავრცელების წყაროები



WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE

